ხელშეკრულება №169
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

ერთი მხრივ, ა(ა)იპ ბათუმის საბავშვო ბაღების გაერთიანება შემდგომში -„შემსყიდველი“, წარმოდგენილი მისი დირექტორის - მამუკა შამილიშვილის სახით და მეორე მხრივ, ი/მ ირაკლი კალანდარიშვილი (პ/ნ: 61007000007) შემდგომში „მიმწოდებელი”, გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების განსაზღვრისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის დამტკიცების თაობაზე სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს N13 ბრძანების მე-2 მუხლის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით ვდებთ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1 ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს - ***ა(ა)იპ ბათუმის საბავშვო ბაღების გაერთიანებასა და ი/მ მაყვალა შაშიკაძეს (პ/ნ: 61006000453) შორის 2019 წლის 12 დეკემბერს დადებული სახელმწიფო შესყიდვის შესახებ N165 ხელშეკრულების ფარგლებში მოწოდებული მუსიკალური ინსტრუმენტების - 14 ერთეული პიანინოს შემოწმება და მათი ტექნიკური მონაცემების შესაბამისობის დადგენა, ხელშეკრულებით დადგენილ ტექნიკურ მონაცემებთან*** **(CPV-71630000)** (შემდგომში - „შესყიდვის ობიექტი“);

1. ხელშეკრულების ღირებულება

1.1. ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს **500** (ხუთასი) ლარს.

1.2. ხელშეკრულების საერთო ღირებულება მოიცავს, როგორც განსახორციელებელი მომსახურების ღირებულებას, ასევე წინამდებარე ხელშეკრულების შესრულებასთან დაკავშირებით „მიმწოდებლის“ მიერ გაწეულ ყველა ხარჯს.

2. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

2.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება შემსყიდველის მიერ განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ეროვნულ ვალუტაში (ლარი).

2.2. ანგარიშსწორება განხორციელდება ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების განხორციელების შემდეგ, მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან არაუგვიანეს 10 (ათი) სამუშაო დღის ვადაში.

3. მიღება-ჩაბარების წესი

4.1. განხორციელებული მომსახურების მიღება ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტით, რომელიც გაფორმდება, მიმწოდებლის მიერ მომსახურების სრულად განხორციელებულის შემდეგ და დასტურდება შემსყიდველისა და მიმწოდებლის საამისოდ უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერებით.

4. მომსახურების განხორციელების ვადა

5.1. მომსახურება განხორციელდება ხელშეკრულების დადებიდან 2 (ორი) დღის ვადაში;

5. მხარეთა უფლება-მოვალეობები

6.1. შემსყიდველი უფლებამოსილია:

6.1.1. ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის ინსპექტირება.

6.1.2. მომსახურების განხორციელებამდე გამოითხოვოს მიმწოდებლისაგან განხორციელებულ მომსახურებასთან დაკავშირებული მისთვის საჭირო დოკუმენტი.

6.2. შემსყიდველი ვალდებულია:

6.2.1.მოახდინოს ანგარიშსწორება მიმწოდებელთან ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით.

6.2.2.უზრუნველყოს განხორციელებული მომსახურების მიღება, ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით.

6.3. მიმწოდებელი უფლებამოსილია:

6.3.1 მიმწოდებელს უფლება აქვს მოსთხოვოს შემსყიდველს განხორციელებული მომსახურების ღირებულების ანაზღაურება, ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.

6.4. მიმწოდებელი ვალდებულია:

6.4.1.დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.

6.4.2 განახორციელოს მომსახურება სათანადო ხარისხითა და სრული მოცულობით, იმ ვადაში, რომელიც დადგენილია ამ ხელშეკრულებით.

6. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

6.1. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი გულისხმობს შემსყიდველის მიერ მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შესრულების, აგრეთვე მიწოდებული მომსახურების ხარისხის კონტროლს.

6.2. ხელშეკრულების შესრულების კონტროლს შემსყიდველის მხრიდან განახორციელებს დირექტორი - მამუკა შამილიშვილი;

6.3. ხელშეკრულების პირობების შესრულების კონტროლის განხორციელება შესაძლებელია ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე.

7. პირგასამტეხლო ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის

7.1. მიმწოდებლის მიერ წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ვადის გადაცილების შემთხვევაში დაეკისრება პირგასამტეხლო, ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების საერთო ღირებულების 1% -ის ოდენობით.

7.2. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

7.3. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან/და არაჯეროვნად შესრულებისათვის ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების საერთო ღირებულების 5 %-ის ოდენობით.

8. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

8.1. ნებისმიერი ცვლილება წინამდებარე ხელშეკრულებაში განხორციელდება წერილობით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე, მხოლოდ ორივე მხარის უფლებამოსილი წარმომადგენლის ხელმოწერით.

8.2. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

8.3. ხელშეკრულების პირობების შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით დადგენილი შემთხვევებისა. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში დაუშვებელია თავდაპირველად დადებული ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით გაზრდა.

9. ხელშეკრულების შეწყვეტა

9.1. წინამდებარე ხელშკრულება შეიძლება ვადამდე შეწყდეს:

ა) ორმხრივი წერილობითი შეთანხმებით ნებისმიერ დროს;

ბ) ნებისმიერი მხარის ინიციატივით, ცალმხრივად თუ მეორე მხარე არ ასრულებს ან არა ჯეროვნად ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, რის თაობაზეც მას წერილობით მიეცა გაფრთხილება და დარღვევის გამოსასწორებლად განესაზღვრა დამატებითი ვადა არანაკლებ 5 დღის ოდენობით.

9.2. შემსყიდველის ინიციატივით ხელშეკრულების ცალმხრივად შეწყვეტის შემთვევაში, მიმწოდებელს უფლება არ აქვს მოითხოვოს მიუღებელი შემოსავლისა ან/და ზიანის ანაზღაურება.

9.3. მხარე ვალდებულია არანაკლებ 5 (ხუთი) კალენდარული დღით ადრე წერილობით ან კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით შეატყობინოს მეორე მხარეს ხელშეკრულების ცალმხრივად შეწყვეტის განზრახვის შესახებ.

10. დავების გადაწყვეტა

10.1. ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის წარმოშობილი ყველა დავა უნდა გადაიჭრას ურთიერთმოლაპარაკების გზით ან საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

11. დაუძლეველი ძალა

12.1. მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია დაუძლეველი ძალის ზეგავლენით. აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში, მხარე ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობის შესახებ.

12.3. თუ დაუძლეველი ძალის მოქმედება გრძელდება 30 დღეზე მეტ ხანს, მხარეს უფლება აქვს ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება.

12. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

13.1 წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელშეკრულების კვალიფიციური ელეტრონული ხელმოწერით ან/და კვალიფიციური ელექტრონული შტამპით დამოწმებისთანავე და მოქმედებს 2019 წლის 31 დეკემბრამდე;

13. მხარეთ რეკვიზიტები

შემსყიდველი:

ა(ა)იპ „ბათუმის საბავშო ბაღების გაერთიანება“

მის: ქ. ბათუმი, პ. მელიქიშვილის ქ N25

საიდენტიფიკაცო კოდი: 445393510

სახელმწიფო ხაზინა

TRESGE22

ა/ნ 740737005

მიმწოდებლი:

ი/მ „ირაკლი კალანდარიშვილი“

ფაქტ, მის. ლანჩხუთი, ს, ჩუხუთი, ლელოს ქN51
იურ, მის : ქ. ბათუმი, ჯინჭარაძის ქN159

საიდენტიფიკაცო კოდი: 61007000007

სს ,, საქართველოს ბანკი''

ბანკის კოდი SWIFT: BAGAGE22

ა/ნ: GE53BG 0000 0008 8891 29000

მამუკა შამილიშვილი

ირაკლი კალანდარიშვილი

kindergartens union of Batumi

Digitally signed by kindergartens union of Batumi
Date: 2019.12.19 14:06:15 +04'00'